სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 81

2023 წლის 25 მაისი

ქ. თბილისი

**ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2023 წლის კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის მოხსნის შესახებ**

"ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N84 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, „2023 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 10 თებერვლის N17 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 24 მაისის სამსახურებრივი ბარათის (N592161) შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

**1.** 2023 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საპროექტო განაცხადი:

| N | პროექტის შიფრი | წამყვანი ორგანიზაცია | კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა |
|---|---|---|---|
| 1 | FR-23-9144 | შპს. დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი | დარღვეულია კონკურსის პირობების მუხლი 2, პუნქტი 4, წარმოდგენილი ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის შესაბამისად ი.ხ ვერ აკმაოფილებს კონკურსის პირობებით დადგენილ ძირითადი პერსონალის მოთხოვნებს. |

**2.** დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართელოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის მთავარ სპეციალისტს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.

**3.** ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**4.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

**ლევან ხეცურიანი**

**გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი**